ჟურნალისტების, რედაქტორებისა და მედიამენეჯერების განცხადება მზია ამაღლობელის დაპატიმრებასა და საქართველოში არსებულ საშიშ მედიაგარემოზე

ონლაინ გამოცემების - “ბათუმელებისა” და “ნეტგაზეთის” დამფუძნებელი და მენეჯერი მზია ამაღლობელი, პირველი ქალი სინდისის პატიმარი ჟურნალისტია საქართველოში.

მზია ამაღლობელი რუსეთში გამდიდრებული ოლიგარქის, ბიძინა ივანიშვილის რეჟიმისთვის მიუღებელი მიუკერძოებელი ჟურნალისტური საქმიანობისა და მისი სამაგალითო სამოქალაქო აქტივიზმის გამო ისჯება. მას არ ჩაუდენია ივანიშვილის რეჟიმის მიერ მისთვის ბრალად წადგენილი სისხლის სამართლის დანაშაული.

12 იანვრის შემდეგ, როდესაც ოლიგარქმა ტყვეობაში აიყვანა ჩვენი კოლეგა - მზია ამაღლობელი, თითოელ ჩვენგანს ემუქრება პროფესიული საქმიანობის გამო დაპატიმრების საფრთხე.

“ქართული ოცნების” მმართველობის ბოლო წლებში საქართველოში მკვეთრად გაუარესდა მედიაგარემო. გარდა იმისა, რომ 2024 წლის ზაფხულში მიღებული “რუსული კანონი უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ” დახურვის საფრთხის წინაშე აყენებს საქართველოში მოქმედ დამოუკიდებელ მედიაორგანიზაციებს, უკიდურესად გახშირდა ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან ჟურნალისტებზე სიტყვიერი შეურაცხყოფისა და ფიზიკური ანგარიშსწორების ფაქტები. ამასთან, დაიწყო მედიის წარმომადგენლების მიმართ რუსული სტილის რეპრესიების განხორციელება.

2024 წლის ნოემბერ-დეკემბერში პროევროპული აქციების გაშუქების დროს, ივანიშვილის რეჟიმის სპეცრაზმელებისა და პოლიციელების მხრიდან ჟურნალისტებზე ძალადობის 90-ზე მეტი შემთხვევა დაფიქსირდა. “ქართული ოცნების” საგამოძიებო უწყებებს არც ერთი ეს შემთხვევა არ გამოუძიებიათ და არ დაუსჯიათ ჟურნალისტებზე მოძალადეები.

2024-25 წლებში ოლიგარქის რეჟიმმა არაერთი ჟურნალისტი დააპატიმრა “ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ბრალდებით” და ფულადი ჯარიმების ან რამდენიმედღიანი ადმინისტრაციული პატიმრობის შემდეგ გაათავისუფლა ისინი.

ის ფაქტი, რომ მზია ამაღლებელი სისხლის სამართლის “ბრალდებით” დააპატიმრეს, აჩვენებს, რომ ოლიგარქის რეჟიმი მის მიმართ კრიტიკულად განწყობილი მედიის წარმომადგენლების დევნის ახალ ეტაპზე გადავიდა, რაც შეთითხნილი ბრალდებებით ჟურნალისტების ციხეში დატყვევებას გულისხმობს, როგორც ეს უკვე მოხდა ბოლო წლებში რუსეთში, ბელარუსსა და მეზობელ აზერბაიჯანში.

მოვითხოვთ სინდისის პატიმრის, მზია ამაღლობელის დაუყოვნებლივ გათავისუფლებას! მოვუწოდებთ ჟურნალისტთა უფლებების დამცველ საერთაშორისო ორგანიზაციებს, მეგობარი ქვეყნების დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს, ხმა აიმაღლონ ოლიგარქ ბიძინა ივანიშვილის რეჟიმის მიერ საქართველოში ჟურნალისტების მასობრივად დევნის ფაქტებზე და დაიცვან მედიის წარმომადგენლები საქართველოში!

პატივისცემით,

Statement by Journalists, Editors, and Media Managers on the Arrest of Mzia Amaghlobeli and the Deteriorating Media Environment in Georgia

Mzia Amaglobeli, the founder and manager of online publications "Batumelebi" and "Netgazeti," is the first female journalist prisoner of conscience in Georgia.

Mzia Amaghlobeli is being punished by the regime of oligarch Bidzina Ivanishvili, who earned his billions in Russia, for her impartial journalism and exemplary civil activism. She did not commit the criminal offense she was charged with by Ivanishvili's regime.

Since January 12, when the oligarch detained our colleague Mzia Amaghlobeli, every one of us faces the threat of arrest for our professional activities.

Under the rule of the Georgian Dream government, the media environment in Georgia has sharply deteriorated in recent years. In addition to the threat to independent media organizations created by the "Russian style law on the transparency of foreign influence," adopted in the summer of 2024, verbal abuse and physical violence against journalists by representatives of the authorities have become alarmingly frequent. Additionally, Russian-style repressions against journalists have started.

During the coverage of pro-European protests in November and December 2024, more than 90 instances of violence against journalists by the regime's special forces and police were recorded. None of these incidents have been investigated or prosecuted by the Georgian Dream investigative bodies, leaving the perpetrators unpunished.

In 2024-2025, the oligarch's regime arrested numerous journalists on administrative charges only to release them after imposing fines or brief administrative detentions.

The fact that Mzia Amaghlobeli has been arrested on criminal charges demonstrates that the oligarch's regime has entered a new phase in its persecution of critical journalists. This involves imprisoning journalists based on fabricated charges, as has occurred in recent years in Russia, Belarus, and neighboring Azerbaijan.

We demand the immediate release of the prisoner of conscience, Mzia Amaghlobeli! We call on international organizations protecting journalists' rights and representatives of friendly countries' diplomatic corps to raise their voices against the mass persecution of journalists by Bidzina Ivanishvili's regime and to protect media representatives in Georgia.